

2019-2025 სტრატეგიული განვითარების

(7 წლიანი) გეგმის

შესრულების ანგარიში

ქ. თბილისი

17 დეკემბერი, 2025 წელი

კოლეჯის მიერ შემუშავებული იყო სტრატეგიული განვითარების (7 წლიანი) გეგმა 2019-2025 წლებისათვის, რომელიც ბმაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან. წარმოდგენილი ანგარიშის ძირითად მიზანს წარმოადგენს განისაზღვროს თუ რა მოცულობით მოხდა დაწესებულების მიერ გეგმის შესრულება და გაკეთდეს ანალიზი მიაღწია თუ არა კოლეჯმა სასურველ შედეგს, მოხდეს ნაწილობრივი განსაზღვრა ახალი მიზნებისა და გარკვეული ამოცანების შეუსრულებლობის არსებობისას მათი ახალ სტრატეგიულ გეგმაში გათვალისწინების საჭიროების წარმოჩენა.

კოლეჯში მოქმედი „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგი“-ის შესაბამისად მოხდა შუალედური ანგარიშის წარმოდგენა 2022 წელს, დაწესებულების მიერ სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე ყოველი სასწავლო წლის განმავლობაში მტკიცდებოდა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და ამოცანების ფარგლებში იწერებოდა აქტივობები. მიმდინარე ანგარიში ეყრდნობა ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშებს, ანალიზებს, მმართველი სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს, სტრატეგიული გეგმის შესრულების შუალედურ ანგარიშს, SWOT ანალიზს და ყველა იმ მტკიცებულებას, რომელიც თითოეული მიზნისა და ამოცანის ფარგლებში შექმნილია კოლეჯის მიერ აღნიშნულ 7 წლიან პერიოდში. აქვე ხაზგასასმელია, რომ 2022 წელს სტრატეგიული განვითარების გეგმაში განხორციელდა ცვლილებები, რათა მეტად მორგებული ყოფილიყო დაწესებულებისათვის დადგენილ სტანდარტებსა და სხვა საკანონმდებლო აქტებს, გამორიცხულიყო მაქსიმალურად ინტერესთა კონფლიქტი.

სტრატეგიული მიზანი N1: ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარება

ამოცანა 1: დასაქმების ბაზარზე ახალი მოთხოვნების გამოვლენა - 2019 წელსვე მოხდა მოთხოვნადი და ბაზარზე არსებული ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დამატება, მათგან კოლეჯში დღესაც წარმატებით ხორციელდება საექთნო განათლება და ფარმაცია (სააფთიაქო), რომლებიც არსებული კვლევების საფუძველზე კვლავ მოთხოვნადი პროფესიებია. საოფისე საქმის მიმართ დაინტერესება იყო, მაგრამ კერძო და საჯარო დაწესებულებების არათანაბარი მდგომარეობის გამო, ვინაიდან პროგრამა ფინანსდებოდა მხოლოდ საჯარო დაწესებულებებისათვის, კოლეჯმა აღარ დაიმატა აღნიშნული და მიღწევად რეჟიმში მოხდა პროგრამის დასრულება სხვა, მანამდე არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად (პრაქტიკოსი ექთანი, ექთნის თანაშემწე, ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი). 2023 წელს, რეავტორიზაციის შემდგომ მოხდა საექთნო განათლებაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა 80-დან 100-მდე. ბოლო

წლების განმავლობაში დაწესებულება იმყოფება მოლოდინის რეჟიმში, თუ რა ახალი პროგრამები შემუშავდება და დამტკიცდება უნარების სააგენტოს ჩართულობით, რომლებიც რელევანტური იქნება კოლეჯისათვის, რათა დაიმატოს.

ამოცანა 2: სასწავლო პროცესის მონიტორინგის მექანიზმების შექმნა სწავლა-სწავლების მეთოდების სრულყოფისა და განვითარებისათვის - დაწესებულების მიერ შემუშავდა და დამტკიცდა „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება“, რომლითაც გაიწერა ის საკითხები, რისი მეშვეობითაც პერიოდულად ხდებოდა სასწავლო პროცესის მონიტორინგი და რა პროცესიც წლების განმავლობაში დაიხვეწა. სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ მუდმივად ხორციელდება სწავლა-სწავლების მონიტორინგი კომპეტენციის ფარგლებში, გამოვლენილი დაკვირვების შედეგებითა თუ გამოკითხვისგან მიღებულ უკუკავშირზე დაყრდნობით ხდება ახალი მექანიზმების შემუშავება, რომელთა დახმარებით სწავლა-სწავლების მეთოდები უფრო სრულყოფილია და ვითარდება.

პირველი სტრატეგიული მიზნის ფარგლებში გაწერილი ამოცანების დახმარებით იგი თითქმის 100%-ით შესრულებულია, ეს პროცესები დღესაც მიმდინარე და მუდმივად განვითარებადი/ცვალებადია, არსებულ საჭიროებებზე მორგების მიზნით განახლებადი ხასიათიდან გამომდინარე. შესამჩნევია მოლოდინის რეჟიმი და რეკომენდირებულია, პირველივე შესაძლებლობისთანავე, დაწესებულების მიერ მოხდეს გამოვლენილი მოთხოვნების შესაბამისად საჭირო ქმედებების განხორციელება, მათ შორის პროგრამათა დამატება/ადაპტირება, რაც რეკომენდირებული იქნება გაიწეროს ახალ სტრატეგიული განვითარების გეგმაში.

სტრატეგიული მიზანი N2: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი განახლებისა და განვითარების ხელშეწყობა

ამოცანა 1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის განვითარება - ამ მიმართულებით კოლეჯი მუდმივად ჩართული იყო სხვადასხვა სახის ღონისძიებებში პროგრამების ცვლილებისას ოპერატიულად ხდებოდა მათი ადაპტირება და შეთანხმება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, როგორც ეს მოხდა საექთნო განათლების, აგრეთვე ფარმაციის (სააფთიაქო) პროგრამაში მასშტაბური ცვლილებების დროს. ბოლო პერიოდში პარტნიორი ორგანიზაცია „საქართველოს კარიტასის“ ორგანიზებით გამართულ ღონისძიებაში აქტიურად იყო ჩართული კოლეჯი, სადაც საექთნო განათლების პროგრამის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მოეწყო სამუშაო შეხვედრები, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა რეკომენდაციები, რიგი საკითხები, რაც მიზანშეწონილი იქნება გათვალისწინებული იყოს აღნიშნულ პროგრამაზე უნარების სააგენტოს მიერ გადახედვის პროცესში. ამ ეტაპზე კი თითოეული პროგრამის მიმართულებით დაწესებულების წარმომადგენლები ჩართული არიან ჩარჩო დოკუმენტების განახლების ეტაპზე სააგენტოს ორგანიზებით. გარდა ამისა, ყოველწლიურად ხდებოდა კოლეჯთან დაკავშირებული პირების (სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პარტნიორი ორგანიზაციების, მასწავლებლების...) გამოკითხვა, რათა გამოვლენილი ყოფილიყო საჭიროებები პროგრამების ხარისხის განვითარების მიმართულებით. 2021 წლიდან კოლეჯში მუდმივად ხორციელდება ვერიფიკაციის პროცესი, რაც აგრეთვე ხელს უწყობს ხარისხის განვითარებას, ბოლო პერიოდში, 2023 წლის და შემდგომი მიღებებისათვის, ხდება

პროგრამების შეფასების ფორმების შევსება და მასთან დაკავშირებული საჭირო ინფორმაციის/უკუკავშირის მიღება დაკავშირებული პირებისაგან. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, განახლებული და გაუმჯობესებული საგანმანათლებლო პროგრამებით ხორციელდება სწავლა-სწავლება, კოლეჯში ინახება შესაბამისი მტკიცებულებები, ოქმები, გამოკითხვის შედეგად მიღებული უკუკავშირი და გაკეთებული ანგარიშები/ანალიზები, სოციალურ გვერდებზე განთავსებული სიახლეები ფოტო მასალით.

ამოცანა 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპექტრის გაფართოება - რაც შეეხება ამ ამოცანას, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის დასაწყისში კოლეჯის მიერ დამატებული იქნა ახალი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც მომდევნო პერიოდში, რეავტორიზაციის ფარგლებშიც და დღემდე აქტიურად ხორციელდება, გაიზარდა საექთნო განათლების პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, მაგრამ სხვა მხრივ ცვლილება და სპექტრის გაფართოება არ მომხდარა. აღნიშნული დაკავშირებულია აგრეთვე მოლოდინის რეჟიმთან უნარების სააგენტოს ჩართულობით ახალი ჩარჩო დოკუმენტის დამტკიცებასთან დაკავშირებით.

ამოცანა 3. დუალური მიდგომით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება - კოლეჯისათვის პრიორიტეტული აღმოჩნდა უფრო არსებულ პროგრამებზე ქვოტის გაზრდა და მოდულური/კოოპერაციული სწავლების მიმართულებით პროგრამების დამატება, ვიდრე დუალურისა, გამომდინარე აქედან, აღნიშნული ამოცანა არ შესრულებულა.

ამოცანა 4. სწავლა/სწავლების არსებული მეთოდების გაუმჯობესება - სტრატეგიული გეგმის მიმდინარეობის პერიოდში შიდა თუ გარე ფაქტორების გათვალისწინებით იცვლებოდა, ვითარდებოდა და იხვეწებოდა სწავლისა და სწავლების მეთოდები. მოგეხსენებათ, როგორც ყველამ, კოლეჯებმაც გაიარეს პანდემიის პერიოდი, რომელიც განსაკუთრებით აისახა სწავლების პროცესზე. ამ ეტაპზე დაწესებულება მოერგო არსებულ რეგულაციებს, ჩართული იყო ადაპტირების პროცესში და შემუშავებული რეკომენდაციებისა და სხვა ნორმების საფუძველზე თეორიული მიმართულებით ახორციელებდა ონლაინ სწავლებას. შემდგომ პერიოდში, კოლეჯში უკვე სწავლა-სწავლება მიმდინარეობს პირისპირ რეჟიმში, რაც შეეხება აღნიშნული პროცესის უკეთ წარმართვასა და მეთოდების გაუმჯობესებას, სხვადასხვა გამოკითხვის შედეგად, და არა მხოლოდ, მიღებული უკუკავშირის საფუძველზე განხორციელდა ტრენინგები განმახორციელებელი პირთათვის, თუ როგორ უნდა დაეხვეწათ და გაემრავალფეროვნებინათ სასწავლო პროცესი თეორიული თუ პრაქტიკული მეცადინეობების დროს, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო და რომელიც დგინდება სტუდენტებისაგან მიღებული უკუკავშირით. შესაბამისად, ამ მიმართულებით კოლეჯი მუდმივად განვითარების პროცესშია და ამოცანა წარმატებით სრულდება, დღეის მოცემულობით რეკომენდირებული იქნება, სამომავლოდ კოლეჯმა გაითვალისწინოს ახალ სტრატეგიულ დაგეგმარებაში იმ შესაძლებლობების მიღწევა, რომელიც ეხება ონლაინ/დისტანციურ სწავლებას, თუნდაც ჰიბრიდული რეჟიმის დანერგვის გზით.

მეორე სტრატეგიული მიზანი 75%-ით შესრულებულია, გაწერილი ამოცანების მიხედვით, გაიცა რეკომენდაციებიც, რომელიც კარგი იქნება გათვალისწინებული იყოს ახალი შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის შედგენის დროს.

სტრატეგიული მიზანი N3: ადამიანური რესურსის განვითარების ხელშეწყობა

ამოცანა 1. ადამიანური რესურსის მართვის მექანიზმის გაუმჯობესება - დაწესებულების მიერ ეტაპობრივად მოხდა რეგულაციების შემუშავება/ადაპტირება ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით. 2023 წელს მოხდა პერსონალის მართვის წესის დამტკიცება, ამ და მასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციაში დეტალურად გაიწერა პერსონალის მიღების, დანიშვნის, მათი შემდგომ ადაპტირების წესები. მდგრადობის შესანარჩუნებლად, მოძიებული იქნა და შეირჩა ახალი კადრები პროგრამის განმახორციელებელი პირების სახით. შემუშავებულია სხვადასხვა ტიპის კითხვარები, რომელთა დახმარებითაც ხდება უკუკავშირის მიღება, თუ რამდენად ეფექტურად მუშაობს მართვის მექანიზმები და საჭიროების შემთხვევაში ხდება გაუმჯობესება. თავდაპირველთან შედარებით გაზრდილია ადმინისტრაციაში საშტატო ერთეულის სახეები, გამოვლენილი საჭიროებებისა და მოთხოვნების მიხედვით, გაზრდილია მათი ანაზღაურება 7 წლიანი დინამიკის ფარგლებში მდგრადობის შედარებით განვითარებიდან გამომდინარე, ყოველივე ამის ხელშეწყობა დაფინანსებული პროგრამების არსებობა და მათზე ჩარიცხულ პირთა რაოდენობის გაზრდა. კოლეჯი ეტაპობრივად ცდილობს ახალი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას. კიდევ უფრო შეივსო და გაიზარდა პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობაც, რომლებიც ახორციელებენ სწავლებას სხვადასხვა მოდულებზე, მათი კვალიფიკაციის შესაბამისად. კოლეჯის წარმომადგენლები ჩართული იყვნენ მასწავლებელთა ახალი სტანდარტების მიმართულებით რეგულაციების განხილვის პროცესში, რომელთა დაკავშირებითაც დგას საჭიროება შიდა აქტების შესაბამისობაში მოყვანის, ამ მიმართულებითაც კოლეჯი აქტიურად მუშაობს და ვინაიდან 2026 წლის იანვრიდან შედის ყოველივე ეს ძალაში, ცვლილებები მიმდინარეობს ამ ეტაპზე, აქედანაც ნათელია, რომ მექანიზმების გაუმჯობესება მუდმივი პროცესია.

ამოცანა 2. ადამიანური რესურსის მუდმივი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა - აღნიშნული მიმართულებით წინსვლა შესამჩნევია განსაკუთრებით ბოლო 2 წლის განმავლობაში, შუალედური ანგარიშში დაფიქსირებული იყო რეკომენდაცია შიდა ტრენინგების ორგანიზების მხრივ, რაც აშკარაა რომ გამოსწორებულია. კოლეჯის მიერ ადმინისტრაციული პერსონალისა თუ პროფესიული განათლების მასწავლებლების განვითარების მხრივ ხდება მეტი და მეტი სიხშირით მათი ჩართვა სხვადასხვა სახის ღონისძიებებში, ჩატარებული გამოკითხვებისა თუ სხვა მხრივ დაფიქსირებული საჭიროებებიდან გამომდინარე, კოლეჯში განხორციელდა თემატური ტრენინგები, აქტიურად ჩართული არიან ადმინისტრაციის წევრები კერძო კოლეჯების ასოციაციისა თუ სხვა დაწესებულებების ორგანიზებით დაგეგმილ შეხვედრებში, კოლეჯის დაფინანსებით. ყოველივე ამის ამსახველი ფოტო მასალა განთავსებულია სოციალურ ქსელებში, დოკუმენტაცია ინახება დაწესებულებაში.

ამოცანა 3. პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის შეფასების სისტემის შემუშავება/განვითარება - 2022 წლიდან უკვე ოფიციალურად შემუშავებულია პერსონალის შეფასების წესი, რომელიც განახლებულია პერიოდულად. აღნიშნულზე დაყრდნობით კოლეჯში ხორციელდებოდა თითოეული პირის საქმიანობის შეფასება. მიღებული შედეგების გათვალისწინებით იწერებოდა გეგმა შედეგების გასაუმჯობესებლად და ტარდებოდა შეხვედრა/ტრენინგები. ამ მიმართულებით მიმდინარე წელს კოლეჯი ჩაერთო მასწავლებელთა შეფასების პილოტირებაში, რომელიც ახალი რეგულაციების შესაბამისად

ჩატარდა. მუდმივ რეჟიმში ხორციელდება ადმინისტრაციისა თუ მასწავლებლების გამოკითხვა ხარისხის განვითარების მიმართულებითაც. შედეგად, ეს ამოცანა სრულად შესრულებულია.

მესამე სტრატეგიული მიზანი 100%-ით შესრულებულია, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში შეიმჩნევა ამ მიმართულებით დაწესებულების გააქტიურება; აღსანიშნავია, რომ ამ სტრატეგიულ მიზანში გაწერილი ამოცანები ისეთი ხასიათისაა, რომლებიც მუდმივ რეჟიმში ცვალებადი/განახლებადია და გაუმჯობესებისკენ უნდა იყოს მიმართული, ყოველივე ეს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცესია, ისევე, როგორც სტუდენტთა მიმართ გასატარებელი სხვადასხვა ღონისძიებები; გამომდინარე აქედან, ამ მიზანთან დაკავშირებული, მეტი ფართო ხედვის მქონე მიზნის დასახვა სამომავლო სტრატეგიულ გეგმაში რეკომენდირებული იქნება, დაწესებულების მეტად განვითარების მიზნით.

სტრატეგიული მიზანი N4: ინფრასტრუქტურისა და სტუდენტური სერვისების განვითარება

ამოცანა 1. ახალი სასწავლო ფართის მოძიება - სტრატეგიული გეგმით 2022 წლიდან განსაზღვრული იყო ახალი ფართის მოძიება შემდგომი გაფართოებისა და განვითარების მიზნით, რომელიც გადავიდა მომდევნო წლის შესასრულებელ სამოქმედო გეგმაშიც. დღემდე აღნიშნული ამოცანა არ შესრულებულა, ამიტომ სამომავლოდ რეკომენდირებულია კოლეჯმა მოახდინოს ახალი ფართის მოძიება, რომელიც ბმაშია პროგრამების სპექტრის გაფართოებასთან ან/და იპოვოს გზები, არსებულში იმგვარად გაფართოების, რომ შესაძლებელი იყოს სტუდენტთა მისაღები რაოდენობის გაზრდა და სხვადასხვა პროგრამების დამატება, რომლებიც მიღებული მოკვლევის შედეგად რეკომენდირებული იქნება რომ დაიმატოს დაწესებულებამ, ყოველივე ამით კი მეტად უზრუნველყოფილი იქნება ფინანსური მდგრადობის შენარჩუნება.

ამოცანა 2. ინფორმაციული საკომუნიკაციო არხების შექმნა და მუდმივი განახლება - საკმაოდ აქტიურად შესრულებულია აღნიშნული ამოცანა, დაწესებულების მიერ განახლდა ვებ-გვერდი, რომელზეც მუდმივად ხდება საჭირო ინფორმაციის განთავსება, შექმნილი facebook გვერდი მეტად გააქტიურდა და გაზრდილია დაინტერესებულ პირთა ჩართულობაც ამ მიმართულებით. კოლეჯმა შექმნა Instagram გვერდი, თითოეული საკომუნიკაციო არხი მუშაობს აქტიურ რეჟიმში, რომლებზეც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მოიძიოს და მიიღოს კოლეჯთან დაკავშირებული საინტერესო ინფორმაცია. დაწესებულების მიერ შექმნილია და ვებ-გვერდზე განთავსებულია მუდმივად განახლებადი კატალოგი, დამზადდა შესაბამისი ბანერები, რომლებიც სხვადასხვა შეხვედრების ფარგლებში აქტიურად გამოყენებადია. სარეკლამო ბუკლეტებიდან ბოლო პერიოდში დაწესებულება გადართულია სოციალურ ქსელებში სხვადასხვა საჭირო ინფორმაციის რეკლამირებითა და აუდიტორიის ამგვარად დაინტერესებით, რაც უკეთეს შედეგს იძლევა. განახლებულია ვებ-გვერდი ფუნქციური თუ ინფორმაციული მიმართულებით. დასახული ამოცანა წარმატებით შესრულებულია.

ამოცანა 3. სტუდენტზე მორგებული ინფრასტრუქტურის განახლების პროცესში პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობის უზრუნველყოფა, პროფ. სტუდენტთა უკუკავშირის გათვალისწინებით - ყოველწლიურად ხდება სტუდენტთა გამოკითხვა ამ მიმართულებით, მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებულია კოლეჯის მიერ შესაძლებლობის ფარგლებში. დაწესებულებაში მოეწყო განსატვირთი ზონა (მოიცავს ჭადრაკს, დომინოსა და სხვა

სასარგებლო აქტივობების ჩატარების შესაძლებლობას), სპექტრის გაფართოების შემთხვევაში, რეკომენდირებულია სამომავლოდ აღნიშნული სივრცის გაზრდაც. ინფრასტრუქტურის მხრივ, მუდმივად განახლებადია დაწესებულების B გარემო, ლაბორატორიის ოთახებში ფარმაციის პროგრამაზე მოეწყო „კვაზი“ აფთიაქი, განახლებულია სასწავლო მერხები, ხდება ეტაპობრივი ცვლილება ინტერიერისა, საჯარო სივრცეებში დამონატებულია ვიდეო-კამერები, აუდიტორიები შეივსო პროექტორებით, ეკრანებითა და სხვა აუცილებელი მასალით, ყოველი ამ პროცესის განხორციელებას თან სდევს მიღებული უკუკავშირები, შესაბამისი დოკუმენტაცია კი შენახულია დაწესებულებაში.

ამოცანა 4. სტუდენტურ პორტალში ჩართვა - აღნიშნული ამოცანა გაწერილი წლების მიხედვით სისტემატიურად შესრულებულია, თითოეული ახალი მიღების ფარგლებში სტუდენტები ეცნობოდნენ დაწესებულების საკომუნიკაციო არხებს, ხდებოდა მათი გაწევრიანება სპეციალურად შექმნილ ჯგუფებში/ჩატებში. ყოველივე ეს დასტურდება როგორც ფოტო-მასალით, ჯგუფებში მათი აქტივობით, აგრეთვე, გამოკითხვის შედეგად მიღებული უკუკავშირით.

ამოცანა 5. პროფ. სტუდენტებისთვის ექსტრაკურსულარული აქტივობების განხორციელება - წინამდებარე ამოცანის ფარგლებში ყოველწლიურად იწერებოდა შესაბამისი აქტივობები. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ ამოცანის შესრულების ხარისხი შედარებით გაზარდა და მრავალფეროვანი გახადა ბოლო სამი წლის განმავლობაში. ყოველწლიურად განხორციელებულია სხვადასხვა ტიპის აქტივობა, მათ შორის სტუდენტთა კარიერული წინსვლის ხელშეწყობი ღონისძიებები, პოტენციურ დამსაქმებლებთან შეხვედრები, დასაქმების ფორუმებში მონაწილეობა, ამალდა მათი ცნობიერება დაწესებულებაში არსებული სერვისების შესახებ, ფიქსირდება მომართვიანობა ინიციატივებისა, რომლებსაც დაეთანხმა კოლეჯის ადმინისტრაცია და განახორციელა. ყოველივე ამის პროცედურული მიმდინარეობა გაიწერა დოკუმენტურადაც თუ როგორ უნდა მოხდეს მომართვა, რა ვადაში დაკმაყოფილდეს ან უარი ეთქვას და ა.შ. ჩატარებულია სხვადასხვა სახის განსატვირთი ღონისძიებები, მათ შორის ექსკურსიები, დიპლომთა გადაცემის ცერემონიები, ახალი მიღების ფარგლებში გაცნობითი ხასიათის შეხვედრები, რომელთა დროს გადაეცათ სხვადასხვა ტიპის საჩუქრები, ტარდებოდა სტუდენტური კონფერენციები. ყოველივე ამ აქტივობათა ამსახველი ფოტო მასალა განთავსებულია კოლეჯის სოციალურ ქსელებში.

ამოცანა 6. ბიბლიოთეკის ფონდის განახლება - როგორც ახალი პროგრამების დამატების ფარგლებში, აგრეთვე შემდგომ განხორციელებული ცვლილებებისას, ასევე საჭირო ახალი სახელმძღვანელოების გამოვლენის დროს ხდებოდა მუდმივად ბიბლიოთეკის ფონდის განახლება, კოლეჯის საიტზე ატვირთულია რიგი წიგნების ელ. ვერსიებიც, რომლებიც ხელმისაწვდომია სტუდენტთა თუ სხვა დაინტერესებულ პირთათვის.

ამოცანა 7. პროფორიენტაციის მექანიზმების განვითარება; აბიტურიენტთა მოზიდვის მექანიზმების შექმნა (ღია კარის დღეები; ვიზიტები სკოლაში; კამპანია მასმედიის მეშვეობით) - კოლეჯის მიერ ყოველწლიურად ტარდებოდა დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებთან შეხვედრები პროფორიენტაციის მიზნით, ტარდებოდა კონსულტირება მომართვიანობის შემთხვევაში, რათა დახმარებოდნენ წარმომადგენლები არჩევანის გაკეთებაში, თუ რომელი პროგრამა შეიძლებოდა უფრო მისაღები ყოფილიყო მათთვის. დაინტერესებული პირების, პოტენციური დამსაქმებლების მომართვისას

სტუდენტებს/კურსდამთავრებულებს ეგზავნებათ საჭირო ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია. კოლეჯში სტუდენტთათვის თუ კურსდამთავრებულთათვის ტარდებოდა შეხვედრები პოტენციურ დამსაქმებლებთან. კოლეჯის მიერ სტრატეგიული განვითარების თავდაპირველ ეტაპზე იბეჭდებოდა სხვადასხვა სახის ინფორმაციული ბუკლეტები, რომლებიც ურიგდებოდათ დაინტერესებულ პირებს, შემდგომ წლებში მიღებების დროს ხდებოდა რეკლამირება სიახლისა სოციალურ ქსელებში, ჩასარიცხ პირთა მოზიდვის მიზნით; შესაბამისი ვიდეო რგოლები, ფოტო მასალა და სხვა, აღნიშნულ ამოცანასთან დაკავშირებული სიახლეები, ატვირთულია კოლეჯის ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელებში.

შედეგად, მე-4 სტრატეგიული მიზანი 85%-ით შესრულებულია, გაწერილი 7 ამოცანიდან 6 აქტიურად ხორციელდებოდა.

სტრატეგიული მიზანი N5: ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობითი არეალის გაფართოება

ამოცანა 1. საერთაშორისო პარტნიორი კოლეჯების მოძიება და თანამშრომლობის ფორმების შემუშავება - მითითებული ამოცანა კოლეჯის მიერ არ შესრულებულა, რეკომენდირებულია ამ მიმართლებით დაწესებულებამ შეიმუშაოს შესაბამისი მექანიზმები და განახორციელოს სამუშაოები, გათვალისწინებული იყოს ახალ სტრატეგიულ განვითარების გეგმაში, ვინაიდან აღნიშნული მეტად აქტუალური თემაა ბაზარზე და იმისათვის, რომ კოლეჯი მომდევნო წლების განმავლობაში უფრო მეტად პერსპექტიული იყოს, ამაღლდეს საზოგადოებაში დაწესებულების ცნობადობა და ყოველივე ამან უზრუნველყოს თავისი კუთხით საქმიანობის ხარისხის განვითარება, საჭიროა, საერთაშორისო დონეზე მოხდეს არეალის გაფართოება, რაც ხელს შეუწყობს ახალი აქტივობების განხორციელებას, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა, ასევე დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა განვითარებას.

ამოცანა 2. ქვეყნის ფარგლებში პროფესიული/საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაღრმავება - კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობდა კოლეჯ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სკოლებთან, ფორმდებოდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ამ ყოველივეს ფარგლებში ხორციელდებოდა ღონისძიებები. დაწესებულება ინარჩუნებს და იღრმავებს კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრობას, გაღრმავდა თანამშრომლობა პარტნიორ დაწესებულებებთან, რომლებიც არიან პოტენციური დამსაქმებლები კოლეჯის კურსდამთავრებულებისა.

მეხუთე სტრატეგიული მიზანი შესრულებულია 50%-ით, რომლის ფარგლებშიც გაიწერა წინამდებარე ანგარიშში რეკომენდაციები.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დასახული ხუთი სტრატეგიული მიზნიდან, თითოეულის ფარგლებში გაწერილი ამოცანების გათვალისწინებით, შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა შესრულებულია 85%-ით; შეუსრულებელ ნაწილში განისაზღვრა ზოგ შემთხვევაში განუხორციელებლობის მიზეზი, გაიწერა რეკომენდაციები, რომლებიც საჭიროა გათვალისწინებული იქნეს ახალი სტრატეგიული დაგეგმარებისას, რა ეტაპზეც ხედვიდან გამომდინარე მიზნები უნდა გააფართოოს კოლეჯმა. დაწესებულება გეგმის შესრულების პროცესში ითვალისწინებდა და მიჰყვებოდა მისიას, იგი ამზადებს

კონკურენტუნარიან, პროფესიონალ კადრებს, რომელთა მოთხოვნა ბაზარზე საკმაოდ მაღალია. დღეის გადმოსახედიდან, წინა შვიდი წლის მდგომარეობასთან შედარებით, იგი უფრო მეტად წარმატებული საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რაც მეტყველებს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალ მაჩვენებელზე; დაწესებულება ფინანსურად ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის, რომლებიც აკმაყოფილებენ პროგრამებზე კანონით გათვალისწინებულ ჩარიცხვის წინაპირობებს. კოლეჯში დასაქმებული პირები გამოირჩევიან მაღალი პროფესიონალიზმით, რომლის განვითარებაზე დაწესებულება ზრუნავს პერიოდულად, მრავალმხრივია მისი თანამშრომლობა პარტნიორ ორგანიზაციებთან ქვეყნის შიდა დონეზე. ეს ტემპი, რაც კოლეჯს აღებული აქვს ამ დროისათვის, არ უნდა დავარდეს, თუ მომდევნო შვილი წლის განმავლობაში მისი მიზანი იქნება იყოს კიდევ უფრო მეტად წარმატებული და ბაზარზე კონკურენტუნარიანი. დაწესებულება იცავს იმ ღირებულებებს, რომელიც გაცხადებული აქვს - ჰუმანიზმი, სანდოობა, მაღალი პროფესიონალიზმი და თანასწორუფლებიანობა.

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი:

თ. ჭუმბაძე